Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის (ჰაბის) 2023 წლის წლიური ანგარიში

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *„მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის (ჰაბის)“* 2023 წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების თაობაზე ანგარიშს.

ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრის მიზანია მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის ღირებულებებისა და პანევროპული ინტერესების დაცვით, რეგიონში უზრუნველყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და გავრცელება ფართო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. ასევე, ქართული მეცნიერების ევროპულ სამეცნიერო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზანდასახულობით ხდება ყველა პროექტისა თუ ღონისძიების ინიცირება და მათი შემდგომი განხორციელება ჰაბის ეგიდით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქმიანობას წარვმართავთ რამდენიმე მიმართულებით:

1. პანელური სესიების სერია

სამეცნიერო კვლევის, ცოდნისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით, ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის ინიციატივით, 2023 წლის დასაწყისში, საფუძველი ჩაეყარა პანელური სესიების სერიას - ***„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა - გზა ევროპისკენ“.*** პანელური სესიების სერიის ფარგლებში დარგის წამყვანი მეცნიერები ფართო საზოგადოებას წარმოუდგენენ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციებს განსაზღვრული თემატიკის შესახებ. აღნიშნული სესიების სერია შესანიშნავი შესაძლებლობაა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა შორის სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად.

1.1. პანელური სესიების სერიის ფარგლებში, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან თანამშრომლობით, 2023 წლის 21 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რიგით პირველი პანელური სესია სახელწოდებით ***„1921 წლის კონსტიტუცია - საქართველოს ევროპული არჩევანი“.*** პანელის ფარგლებში მოხსენებები წაიკითხეს:

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა სალომე დუნდუამ, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ მაცაბერიძემ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით სართანიამ.

პანელური სესია მოიცავდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების, დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის არასრულ სამწლიან პერიოდს და ამ დროს მიღებულ კონსტიტუციას. 102 წლის წინ, 1921 წლის 21 თებერვალს, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ქვეყნის უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტი - კონსტიტუცია მიიღო, რომლის ისტორიული როლიც უმნიშვნელოვანესი იყო. ის ერთ-ერთი პროგრესული კონსტიტუცია იყო ევროპის კონტინენტზე და ჯერ კიდევ მაშინ აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო. სწორედ პირველმა კონსტიტუციამ განსაზღვრა დემოკრატიის, ხელისუფლების დანაწილებისა და სეკულარული სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები. 1921 წლის კონსტიტუცია დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნის უნიკალურ გამოცდილებას წარმოადგენს.

1.2. პანელური სესიების სერიის ფარგლებში, ა/წ 26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელობის აუდიტორიაში გაიმართა რიგით მეორე პანელური სესია სახელწოდებით ***„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკიდან ახალი საქართველოსკენ“,*** სადაც მოხსენებები წაიკითხეს:

- მალხაზ მაცაბერიძემ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- შორენა მურუსიძე - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- მანანა დარჩაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პანელზე მომხსენებლებმა ისაუბრეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, რომლის დამოუკიდებლობაც მაშინ აღიარეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა. 1918-1921 წლების საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით მყარი გამოცდილება და პოლიტიკურ ღირებულებათა ჩარჩო დაუტოვა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს.

1.3. ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პანელური სესიების სერიის "საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა - გზა ევროპისკენ" ფარგლებში, გაიმართა მორიგი პანელური სესია სახელწოდებით ***„26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში“,*** რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება (1918-1921 წწ.) და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე ადრე, ჩაატარა საყოველთაო არჩევნები ორივე სქესის მოქალაქეთა მონაწილეობით, მიიღო კონსტიტუცია, დააფუძნა სახელმწიფო ინსტიტუტები, შეიმუშავა კანონმდებლობა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დასაცავად, გასაქანი მისცა ქალთა უფლებებს, შექმნა მრავალპარტიული სისტემური მმართველობის კარგი მაგალითი; ჩამოაყალიბა პოლიტიკური აზრისა და დებატების კულტურა.

პანელური სესიის ფარგლებში მომხსენებლებმა განიხილეს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების წინაპირობები, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა, პირველი და მეორე რესპუბლიკების შედარებითი ანალიზი - მათი მსგავსებები და განსხვავებები და 26 მაისი, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო.

პანელური სესიის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა ე.წ. ,,ეროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბებისა“ და აფხაზეთში დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის საკითხი.

პანელური სესია გაიმართა კომბინირებულ ფორმატში და ZOOM-ის მეშვეობით ღონისძიებას დაესწრნენ ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრები და სხვა მსურველები.
ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოსწავლე-ახალგაზრდები.

აღსანიშნავია, რომ ლექციებს დიდი გამოხმაურება და ინტერესი მოჰყვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მხრიდან, რადგან მათ მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დარგში არსებულ უახლეს კვლევებს.

1.4. პანელური სესიების სერიის ფარგლებში, 2023 წლის 9 და10 დეკემბერს გაიმართა ორდღიანი ღონისძიება ბათუმისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით, 9 დეკემბერს, ბათუმის უნივერსიტეტის მასპინძლობით, გაიმართება პანელური დისკუსია, სახელწოდებით **„პოსტსაბჭოთა საქართველოს საბჭოური მემკვიდრეობა“.**

მომხსენებლები:

- მალხაზ მაცაბერიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ირაკლი ჩხაიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ნინო ჩიქოვანი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თამარ ორჯონიკიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ირაკლი მანველიძე - ბათუმის უნივერსიტეტი
- ნატალია ლაზბა - ბათუმის უნივერსიტეტი

ამავე დღეს, გაიმართა პროფ. მალხაზ მაცაბერიძის მონოგრაფიის - „საბჭოთა კავშირი: კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა“ პრეზენტაცია, რომელიც გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

ხოლო 10 დეკემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა მორიგი პანელური დისკუსია სახელწოდებით ***„ნოე ჟორდანია - პირველი რესპუბლიკის ევროპელი ლიდერი“.*** პანელს გაუძღვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მალხაზ მაცაბერიძე. ამ ჟესტით ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონულმა ცენტრმა პატივი მიაგო ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, პოლიტიკოსის, პუბლიცისტის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას ხსოვნას. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის პროფესორებმა და ახალგზარდა მკვლევრებმა. გარდა ამისა, მუზეუმს საჩუქრად გადაეცა აღნიშნული თემატიკის შესახებ არსებული უახლესი ლიტერატურა.

2. ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია

2020 წელს ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის ინიციატივით დაიწყო პროექტი ***„გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განათლების უძველესი კერა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.*** პროექტის მთავარი მიზანია გააცნოს ფართო საერთაშორისო საზოგადოებას გელათის აკადემია, როგორც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი.

პროექტში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა:

- ✓ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
- ✓ თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი
- ✓ თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ✓ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- ✓ გელათის მეცნიერებათა აკადემია
- ✓ საქართველოს ეროვნული მუზეუმი

- ✓ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
- ✓ გ. ჩუბინაშვილი სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
- ✓ ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო კონსერვატორია
- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის მმართველობა.

ამ პროექტის ფარგლებში მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონულმა ცენტრმა მიმდინარე წლის 28 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰიბრიდული სახით ჩაატარა ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია ***„გელათის აკადემია - მისი ეპოქა და მემკვიდრეობა“.*** ღონისძიების მიზანი გახლდათ ხელი შეეწყო ახალგაზრდა მკვლევარებისათვის გელათის აკადემიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის კვლევაში.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მკვლევრებმა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, ა. შანიძის სახელობის ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნერო-კვლევითი ცენტრიდან „ორიონი“ (თსუ), გელათის სასულიერო აკადემიიდან და სემინარიიდან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.

3. საჯარო ლექციების სერია

საქართველოს ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაცია - *Academia Europaea*-ს თბილისის განყოფილების თანამონაწილეობით - ახორციელებს პროექტს *"მიკრობული სამყარო და ადამიანი"*, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეების (მე-8-12 კლასი) დაინტერესება მიკრობიოლოგიის მეცნიერების მიღწევებით და ამ მიმართულებით მათი ცოდნის გაღრმავება. პროექტი დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ამერიკის მიკრობიოლოგიის საზოგადოების მიერ.

ლექციების კურსს კითხულობენ დარგის წამყვანი მეცნიერები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ინსტიტუტებიდან:

- აკად. დავით ფრანგიშვილი, პარიზის პასტერის ინსტიტუტის საპატიო პროფესორი, თსუ-ის მოწვეული პროფესორი
- აკად. დავით ლორთქიფანიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- პროფ. ნინო გაჩეჩილაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- პროფ. ნინა ჭანიშვილი, ნიუვიჟნის უნივერსიტეტი და გ.ელიავას სახ. ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი
- პროფ. სოფო რიგვავა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და გ.ელიავას სახ. ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 23 აპრილს განხორციელდა პირველი შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

4. *წიგნის პრეზენტაცია და საჯარო ლექცია*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით, 16 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რუსუდან გორგილაძის წიგნის *"დიქტატურის გემო"* პრეზენტაცია.

წიგნი მოგვითხრობს სამი დიქტატორის - სტალინის, მუსოლინისა და ჰიტლერის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებზე. სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღებას იქცევს ასევე კვებისა და საკვების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია საბჭოთა კავშირში, ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში. წიგნში პოპულარული ენითაა განხილული თითოეული რეჟიმის თავისებურებები, მათ შორის საკვების იდეოლოგიზაციის გამორჩეული „მარგალიტები“ და მათი როლი სააგიტაციო სტრატეგიაში.

როგორც ფაშისტური იტალიის ოცდაერთწლიანი, ასევე ნაცისტური გერმანიის თორმეტწლიანი ისტორია თავიდან ბოლომდე იწყება და მთავრდება მათი შემქმნელების, ბენიტო მუსოლინისა და ადოლფ ჰიტლერის, ხელისუფლებაში მოსვლითა და სიკვდილით. საბჭოთა კავშირი კი, რომელმაც თითქმის სამოცდაათ წელს იარსება, არც სტალინით დაწყებულა და არც მისით დამთავრებულა. ამიტომ წიგნის საბჭოთა ნაწილი სტალინამდელ (უფრო ზუსტად პრესტალინისტურ) და სტალინის შემდგომ პერიოდსაც ეხება, თუმცა მთავარი ყურადღება, ცხადია, სტალინის მმართველობის პერიოდს ეთმობა.

წიგნი "დიქტატურის გემო" 2021 წელს გამოქვეყნდა და ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი გახდა.

5. *საერთაშორისო კონფერენცია*

კონფერენციების სერია *"მიკრობული ვირუსები"*, რომელიც 2010 წელს პარიზში დაიწყო და მას შემდეგ ორწლიანი ინტერვალებით მთელ ევროპაში იმოგზაურა, 2023 წლის ივლისში თბილისს მიაღწია. კონფერენციამ აღნიშნა ვირუსების კვლევის ახალი ეპოქა, რომელიც დაიწყო მიკრობული ვირუსების - ბაქტერიების, არქეების და მიკრობული ევკარიოტების ვირუსების, როგორც ბიოსფეროს უპირატეს კომპონენტად აღიარებით და გამოიწვია ამ ვირუსების იდენტიფიცირება, როგორც ძირითადი მოთამაშეებისა გლობალურ ეკოლოგიაში, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში, მიკრობულ ფიზიოლოგიასა და ევოლუციაში.

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც შეეხო მიკრობულ ვირუსებს - ვირუსების სამყაროს ყველაზე მრავალრიცხოვან და ყველაზე იდუმალ ნაწილს, განიხილეს მიკროორგანიზმების ვირუსების ევოლუცია, მრავალფეროვნება, მათი როლი გარემოსა და ადამიანის ორგანიზმში და სხვა ფუნდამენტური საკითხები. ყურადღება დაეთმო მიკროორგანიზმების ვირუსების გამოყენებით ასპექტებს, როგორიცაა ახალი ნანო-ბიო-ტექნოლოგიების შექმნა და ბაქტერიების ვირუსების (ბაქტერიოფაგების) გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში.

კონფერენციას ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის, საქართველოს მიკრობიოლოგთა ასოციაციისა და გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის ორგანიზებითა და მხარდაჭერით. თბილისის კონფერენციის წინამორბედი ღონისძიებები ჩატარდა ბელგიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ინგლისსა და პორტუგალიაში.

6. Academia Europaea-ს (AE) 34-ე ყოველწლიური კონფერენცია -Building Bridges 2023

Academia Europaea-ს (AE) 34-ე ყოველწლიური კონფერენცია -Building Bridges - 2023 Academia Europaea-ს მიუნხენის ჰაბის მასპინძლობით, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში (Ludwig Maximilians Universität München - LMU), 2023 წ. წლის 9-11 ოქტომბერს ჩატარდა Academia Europaea-ს (AE) 34-ე ყოველწლიური კონფერენცია (Building Bridges 2023), მის სამეცნიერო ქსელში შემავალი ჰაბების ყოველწლიური გენერალური სხდომა და ევროპის აკადემიის ახალგაზრდული ფრთის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ჰაბის წარმომადგენლობამ. ევროპის აკადემიის ყოველწლიურ კონფერენციასა და ამ კონფერენციის ფარგლებში ჩატარებულ გენერალურ სხდომაში მონაწილეობის მიღება მიზნად ისახავდა თბილისის ჰაბის მიერ 2022-2023 წწ. მანძილზე შესრულებული სამუშაოების შეჯამებას.